კომპანია **CMC** (Construction Management Company) ქართულ ბაზარზე ოპერირებს 2009 წლიდან და სამშენებლო ბიზნესის მენეჯმენტის სფეროში დღეს წამყვანი ადგილი უკავია. კომპანიას დღემდე 50-ზე მეტი მსხვილი პროექტი აქვს განხორციელებული, რომელთა ჯამური ღირებულება მილიარდ აშშ დოლარს აღემატება და 676 000 კვადრატულ მეტრს მოიცავს.
კომპანიის მთავარი მახასიათებელია ნებისმიერი სირთულისა და მასშტაბის პროექტის დაგეგმილ ვადასა და დაგეგმილი ბიუჯეტით უმაღლესი ხარისხით შესრულება.

კომპანია **CMC** გთავაზობთ შემოუერთდეთ ჩვენ გუნდს **ინჟინერ-მექანიკოსისდა ინჟინერ-ელექტრიკოსის** პოზიციაზე.

ჩვენ გთავაზობთ:

- საინტერესო და მრავალფეროვან სამუშაოს პროფესიონალ გუნდთან ერთად;
- პროფესიული ზრდისა და განვითრების შესაძლებლობას;
- ჯანმრთელობის დაზღვევას;
- საბონუსე სისტემას შესრულებული სამუშაოს მიხედვით.

ინჟინერ-მექანიკოსი და ინჟინერ-ელექტრიკოსი

ძირითადი ფუნქციები:

- საპროექტო დოკუმენტაციის/სპეციფიკაციების დეტალური შესწავლა, ანალიზი, ექპერტიზა და შეფასება პროექტის მსვლელობის ნებისმიერ ეტაპზე;
- მექანიკური/ელექტრო ნაწილის ნახაზების, შერჩული დანადგარების რევიზია და ოპტიმიზაცია;
- პროექტის ხარჯთაღრიცხვის შედგენა (უფლებამოსილების საზღვრებში);
- ტექნოლოგიური სიახლეების მუდმივი მონიტორინგი;
- კონსულტაციების მიღება პროექტის მონაწილე სხვა დისციპლინების სპეციალისტებისგან;
- რეგულარული, ობიექტის ვიზიტების მოწყობა/პროექტის პროგრესის კონტროლი (უფლებამოსილების საზღვრებში);
- პროექტის ვადებისა და ბიუჯეტის დაცვის კონტროლი;
- საპროექტო მოთხოვნების სხვა დისციპლინებთან შეთნხმება;
- პროექტში ჩართულ მხარეთა პროექტანტებთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარება;
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მოთხოვნების ცვლილებების კონტროლი.

მოთხოვნები პოზიციის მიმართ:

- უმაღლესი განათლება (ან დამამთავრებელი კურსის სტუდენტი);
- ინგლისური ან რუსული ენის ცოდნა;
- კომპიუტერული საოფისე პროგრამების და AutoCad - ის ცოდნა;
- სიახლეების სწრაფად ათვისების უნარი;
- ყურადღება დეტალების მიმართ;
- ინიციატიურობა;
- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა.

დაინტერესებულ კანდიდატებს გთხოვთ გამოაგზავნოთ თქვენი რეზიუმე შემდეგ ელქტრონულ მისამართზე: hr@cmc.ge არაუგვიანეს 2020 წლის 15 მარტისა. გთხოვთ სათაურის ველში მიუთითოთ ვაკანსია, რომელზეც აკეთებთ განაცხადს.

გისურვებთ წარმატებას!